# GoLive სისტემის ტექნიკური მახასიათებლები

ი 59/1581

მოწყობილობის ზომაა – 95 მმ სიგრძე, 89 მმ სიგანე და 35 მმ სიმაღლე, წონა – 300 გრ.



მოწყობილობის ავტომობილზე მონტაჟი არ საჭიროებს ავტომობილის დაშლას ან დამატებით ტექნიკურ ჩარევას.

PX 4818/1

ვისოლი

ხარისხი, რომელსაც ვენდობი

ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ; 0162 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 291 5315; ფაქსი: (+995 32) 291 5255; E-mail: golive@wissol.ge

**WISSOL GO LIVE**

უფასო ცხელი ხაზი: 8 800 80 80 80

უზრუნველყოფილია **MyGPS**-ის მიერ

www.wissol.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისოლი

ხარისხი, რომელსაც ვენდობი

# GOLIVE CARD

ავტოპარკის რეალური კონტროლი რეალურ დროში

**GoLive** სისტემა –
მომავლის ტექნოლოგია ექსკლუზიურად
ვისოლის კორპორაციული მომხმარებლებისათვის



WINNER 2010 European Business Awards™

ISO 9001 SGS

www.wissol.ge

# GoLive – ავტოპარკის რეალური კონტროლი რეალურ დროში

ვისოლი კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს ავტოპარკის მართვის უნიკალურ **GoLive** სატელიტურ სისტემას. ვისოლს კორპორაციული საბარათე სისტემით კლიენტების მომსახურების **10** წლიანი გამოცდილება აქვს.




## GoLive

ინოვაციური პროდუქტი წარმოადგენს ვისოლის კორპორაციული პლასტიკური ბარათის და GPS/GPRS მოწყობილობის სისტემის ინტეგრირების შედეგად მიღებულ ექსკლუზიურ პროდუქტს, რომელსაც საქართველოში ანალოგი არა აქვს.

## GoLive

სისტემა ვისოლის კორპორაციულ მომხმარებელს საშუალებას აძლევს რეალურ დროში, ონლაინ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში განახორციელოს ავტოპარკის მოძრაობის და საწვავის ხარჯვის რეალური კონტროლი არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მსოფლიოს ყველა იმ წერტილში, რომელიც საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების როუმინგ სერვისის დაფარვის ზონაშია.



## GoLive

სისტემით შესაძლებელია ანგარიშის მართვა ვისოლის ვებგვერდის საშუალებით ოფისში მისვლის გარეშე, კერძოდ, ბარათებზე ნებისმიერი ტიპის პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი რაოდენობით, ნებისმიერ დროს ჩატვირთვა, ბარათებზე საწვავის განაწილება, ლიმიტების დაწესება ან/და შეცვლა.

WISSOL GO LIVE



# GoLive სისტემის უპირატესობები

## რეალური კონტროლი



GoLive სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს რეალურ დროში ვისოლის ვებგვერდის მეშვეობით, სატელიტურ რუკაზე ნახოს ანგარიშები კომპანიის ავტოპარკის თითოეული ავტომობილის ზუსტი ადგილმდებარეობის, ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარის, მოძრაობის დინამიკის, გავლილი კილომეტრაჟის, მოძრაობა-გაჩერების დროის, ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა ან თაღლითურად ამოღების შესახებ.

## საწვავის ეკონომია

ავტოპარკის კონტროლის GoLive სატელიტური სისტემის საშუალებით შესაძლებელია საწვავის ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირება. საწვავის ხარჯვის ეფექტური კონტროლისათვის შექმნილი ინდივიდუალური კალიბრაცია დამატებით საშუალებას აძლევს მომხმარებელს ინდივიდუალურად ყველა ავტომობილის ავზის მოცულობის მიხედვით მიიღოს მონაცემები ლიტრებში ნაცვლად პროცენტული მაჩვენებლისა.

## თაღლითობისგან დაცული სისტემა

სისტემა უზრუნველყოფს მონაცემთა 100% სიზუსტით მოწოდებას. ავტოპარკის მოძრაობის დეტალური ანგარიშის გარდა, სისტემა საშუალებას აძლევს კომპანიას პერსონალის მიერ ავტომობილის ავზში საწვავის თაღლითურად ჩასხმა-ამოღების ფაქტი ოპერატიულად დააფიქსიროს, რაც ექსკლუზიურად მხოლოდ ვისოლის მომხმარებლისთვის შეიქმნა.

## მომხმარებელზე მორგებული სისტემა

GoLive სისტემა (სურვილისამებრ) მომხმარებელს სთავაზობს კონკრეტული ადგილების (ობიექტების) რუკაზე დატანას კომპანიისთვის სასურველი სახელების მინიჭებით. ამას გარდა, საგანგებო სიტუაციებში GoLive სისტემით შესაძლებელია SMS შეტყობინების მიღება.

## ავტოპარკის მოძრაობის მარშრუტის ოპტიმიზაცია

ავტოპარკის მოძრაობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ოპტიმალური მარშრუტის დაგეგმვა.

## მომხმარებელთა გაუმჯობესებული მომსახურება

სპეციფიური დანიშნულების მოწყობილობის მქონე ავტოპარკის (მაცივრის, მიქსერის და ა. შ.) მუშაობის რეჟიმის დაფიქსირება დისტრიბუციის / სამშენებლო სექტორში მომუშავე კომპანიებს პროდუქტის ხარისხიანად და ოპერატიულად მიწოდების საშუალებას აძლევს.

WISSOL GO LIVE